



MES 4 20 0001227014



24/12/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 17 დეკემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82981777244?pwd=R245MIRMMINobmJnKzlsRk05OHMvZz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებ
ის მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „იბერია“:

ირაკლი ავალიანი - დირექტორი,

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

იური მესხორაძე - „დურგლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის მასწავლებელი,

მაგდანა როხვაძე - „გრაფიკული საქმის“ პროფესიული მომზადების პროგრამის მასწავლებელი,
ნინო დარასელია-ზრდასრულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კოორდინატორი,

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების კოორდინატორი,

დავით დათუაშვილი - უსაფრთხოების მენეჯერი.

ა(ა)იპ - ჰოსპისი ფერისცვალება:

ეკატერინე დელიბაშვილი - სასწავლებლის ხელმძღვანელი,

მარიამ ფალავანდიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი,

შუქია ჭინჭარაული - პროგრამის კოორდინატორი,

მირანდა ლურსმანაშვილი - ჰოსპისის ექიმი, პედაგოგი

თამარ კვიციანიძე - პედაგოგი

ანა ბეროშვილი - პედაგოგი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მამუკა ხოშტარია,

გიორგი ბერია,

თეა ბარამაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

- 1.სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „დურგლის“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: მამუკა ხოშტარია, ლანა გაჩეჩილაძე
2. სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „გრაფიკული საქმის“ /00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: თეა ბარამაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე
3. ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებისთვის - „პალიატიური და გერიატრიული პაციენტების ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტის“ /00938/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: გიორგი ბერია, მაყვალა დარსანია

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „დურგლის“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა პროგრამა „დურგალთან“ დაკავშირებით. წინა საბჭოზე საკითხი ბოლომდე იქნა მოსმენილი, აღწერილიც არის ოქმში, ამდენად საბჭოს მიმდინარე სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმატში გაიმართება მსჯელობა.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს შეახსენა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია ხარვეზი ოთხ ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, 1.3; 1.8; 1.10 და 3.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით.

1.10 ქვესტანდარტის ხარვეზი ეხება შეფასების და 3.4 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ორივე შემთხვევაში, მარეგულირებელი დოკუმენტები არ ითვალისწინებდა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სპეციფიკას. ხარვეზის გამოსწორების მიზნით, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა შესაბამისდ მარეგულირებელ დოკუმენტებში. შენიშნა, რომ ეს ქვესტანდარტები ორივე პროგრამისთვის, როგორც „დურგლის“ ასევე, „გრაფიკული საქმისთვის“ არის საერთო და ერთგვარად შეფასებული. განახლებული დოკუმენტების მიხედვით, ორივე ქვესტანდარტის შემთხვევაში, ორივე პროგრამისთვის, ხარვეზები არის აღმოფხვრილი.

აქვე შენიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში არის ჩანაწერი, რომ „მტკიცებულებების შენახვა დაწესებულებისთვის არ არის სავალდებულო“. ამასთან დაკავშირებით სთხოვა დაწესებულებას განმარტება.

დარეჯან ლოსაბერიძემ, დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ ეთანხმება შენიშვნას ამ ჩანაწერთან დაკავშირებით. ჩანაწერში მათ იგულისხმეს, რომ მტკიცებულებები პროგრამის დასრულების შემდეგ არ ექვემდებარება შენახვას. მან აღნიშნა, რომ გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მტკიცებულებების სამი წლით შენახვის ვალდებულება აქვთ და ამ წესს აამოქმედებენ მოკლევადიან მომზადების და გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებითაც, ანუ, მათ ექნებათ სამი წლით მტკიცებულების შენახვის ვალდებულება და არა პროგრამის დასრულებამდე.

მარიკა ზაქარეიშვილმა კითხვა დასვა პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით. რამდენადაც მას ახსოვდა, „დურგალი“ ერქვა საკვალიფიკაციო პროგრამას.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საკვალიფიკაციო პროგრამას „ხის მხატვრული დამუშავება“ ჰქვია, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს წარმოდგენილი მოკლევადიანი პროგრამა. ამ სახელწოდებით, საგნობრივ პროგრამას წლების განმავლობაში ძალიან წარმატებულად ახორციელებდნენ და ბევრი მათი კურსდამთავრებული ბაზარზე დასაქმებულია. იმერეთში არის მოთხოვნა „დურგლის“ პროფესიაზე, „დურგლის“ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებელმა, ის კომპეტენციები შემოიტანა ამ პროგრამაში, რომლებიც უფრო ხის დამუშავებას უკავშირდება, მაგალითად, ხის კარი და ფანჯარა, ხის კიბე, ხის ავეჯი, მარტივი დანიშნულების, რომელზეც მოთხოვნა ნამდვილად არის რეგიონში. შენიშნა, რომ ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც ამ ეტაპზე და მომავალშიც ჰპირდებათ თანამშრომლობას.

მარიკა ზაქარეიშვილმა უპასუხა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება, მაგრამ იგი პროგრამის მიზანშეწონილობას არ გულისხმობდა, არამედ აინტერესებდა, რომ ეს პროგრამა, ამ ხანგრძლივობით, ამ სწავლის შედეგებით არის თუ არა „დურგალი“. მისი მოსაზრებით, უმჯობესია კონკრეტული სახელი დაერქვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, ამ საკითხზე ექსპერტს და პროგრამის განმახორციელებელს ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი, საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა და ისინი შეჯერდნენ, რომ პროგრამას ერქვას „დურგალი“ და დასკვნაშიც სახელთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

მამუკა ხოშტარიამ, დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ ამ შემთხვევაში დურგალი არის - სახლის სამშენებლო ნაწილების. დურგალი ასევე არის მუსიკალური ინსტრუმენტებისთვის, ტელევიზიისთვის, თეატრისთვის, კინოსთვის და ა.შ. მას ძალიან დიდი იმედი აქვს 2021 წლიდან, როცა გადაიხედება ჩარჩო დოკუმენტები და კვალიფიკაციები, ეს ყველაფერი და ისეთი სპეციალობები, როგორცაა ხურო, დურგალი, დაუბრუნდება თავის თავს. ამ ეტაპზე კი ყველაფერი ჩადებულია ჩარჩო დოკუმენტში „ხის მხატვრულ დამუშავება“, რომელიც ცალკე თემაა.

შენიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, დურგალი აკეთებს კარებს, ფანჯარას, იატაკს, კიბეს. მისი მოსაზრებით, ვერავინ ვერ მოიგონებს პროგრამის სხვა სახელს. კაცი, რომელიც აკეთებს კარს, ფანჯარას, იატაკს, არის დურგალი, რომელიც ამ საქმიანობას ახორციელებს. ფიქრობდა პროგრამას დარქმეოდა „სახლის ხის კონსტრუქციების დურგალი“, მაგრამ ეს სხვა კომპეტენციაში გადადის, ხუროს კომპეტენციაში. „სახლის ხის ელემენტების დამამზადებელი დურგალი“ შეიძლება უკეთესი დასახელება იყოს, ელემენტში შეიძლება ჩავთვალოთ კიბე, ფანჯარა, იატაკი, კარები.

ნათია კვიციანი დააფიქსირა თავისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნდა დაკონკრეტდეს მომზადების პროგრამის სახელწოდება, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ სათაურშივე დააკონკრეტებენ, ფრჩხილებში მიუთითებენ.

ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება სრულად მარკა ზაქარეიშვილს და ძალიან კარგი შენიშვნაა, თუმცა არ მიესალმება სახელწოდებაში დაკონკრეტდეს კარი, ფანჯარა და იატაკი. სთხოვა დარგის ექსპერტს, რჩევა მიეცა დაწესებულებისთვის ამ საკითხში, ასევე დაინტერესდა რა გამოცდილებაა ამ მხრის უცხოეთში.

მამუკა ხოშტარიამ თქვა, რომ Joiner / Carpenter -ს შორის ზოგჯერ სხვაობა ძალიან მკაფიოდ ჩანს და ზოგან მცირედ, მაგრამ ზოგადად, ჯოინერი ჯოინერია, ეს არის ადამიანი, რომელიც ამზადებს კარს, ფანჯარას, იატაკს, კიბეს, ავეჯს. ხურო არის უფრო „ხეში სამუშაოების შემსრულებელი“, რომელიც სახლის გადახურვასაც აკეთებს. ამჯერადაც ახალს ვერაფერს მოიფიქრებენ. მიზანშეწინილად მიიჩნია დარჩეს „დურგალი“ სახელწოდებად და განემარტოს მსმენელებს თუ რას ისწავლიან, შემდგომ კი სერტიფიკატის დანართში ჩაიწეროს, რა ისწავლა.

ლანა გაჩეჩილაძემ დაადასტურა, რომ სწავლის შედეგების ჩამონათვალს სერტიფიკატის დანართი მოიცავს.

ნანი დალაქიშვილმა კომენტარი გააკეთა. პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებული დისკუსია გამოიწვია იმან, რომ შესაძლოა სამომავლოდ შეიქმნას საკვალიფიკაციო პროგრამა, „ხის მხატვრული დამუშავება“ დაიყოს ისევ და ცალკე გამოვიდეს „დურგალი“. თუმცა ცალსახად უნდა თქვას, რომ „დურგალი“ იმ ახალ საკვალიფიკაციო პროგრამას არ დაერქმევა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში თვითონ სწავლის სფეროს ფორმულირებით არის დასახელებები, ვიდრე სპეციალიზაციის დასახელებით. ამ შემთხვევაში დურგალი უფრო პოზიციაა, პროფესიაა, სპეციალიზაციაა, ვიდრე სწავლის სფერო, რაც ცალსახად იქნება გამორიცხული, თუნდაც გადამუშავდეს პროგრამა. იმედოვნებს, მომავალ წელს ამ მიმართულებით სწორი გზით წავა კვალიფიკაციების სამსახური და მართლაც სწორი საკვალიფიკაციო პროგრამა ექნებათ. მისი აზრით, უფრო სწორია წარმოდგენილ პროგრამას „დურგალი“ ერქვას. შენიშნა, რომ დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით სერტიფიკატის დანართი, სადაც ცალსახად განიმარტება ყველა შედეგი, რასაც პროგრამის გავლის შემდეგ მიაღწევს მსმენელი. პროგრამის დასახელება შრომის ბაზრისთვის ახალი არ იქნება. თუნდაც გადამუშავდეს საკვალიფიკაციო პროგრამა ამ მიმართულებით, ამ პროგრამის დასახელება წინააღმდეგობაში ცალსახად არ მოვა, იმიტომ რომ ფორმულირება იქნება განსხვავებული. ამდენად, თუ ექსპერტისთვისაც მისაღებია, რომ სახელწოდება დარჩეს და დანართში შედეგები გამოჩნდეს კარგად, გასაგები იქნება დამსაქმებლისთვის რა ტიპის სამუშაოზეა ლაპარაკი, რომ ეს არის სახლის კიბე, კარ-ფანჯარა და ა.შ.

მარკა ზაქარეიშვილი დაეთანხმა პროგრამის წარმოდგენილ სახელს, რადგან სწავლის შედეგები დაკონკრეტდება სერტიფიკატის დანართში და არ იქნება შეცდომაში შემყვანი დამსაქმებლისთვის, თუმცა გამოწვევად რჩება ის საკითხი რომ დამსაქმებელი ხშირად არ ითხოვს დიპლომის დანართს.

ქრისტინე მეფარიშვილმა გამოხატა პოზიცია, რომ ყოველთვის საბჭო ითხოვს სახელწოდების დაკონკრეტებას და სათაურის დაკონკრეტების მომხრეა, თუ იქნებოდა ამის შესაძლებლობა.

ნიკოლოზ მესხიშვილიც დაეთანხმა ამ მოსაზრებას და დაამატა, რომ ურჩევნია კონკრეტული სახელწოდება იყოს, მაგრამ რადგან არ გამოდის, მაშინ დანართში დაკონკრეტებას ემხრობა. ეს მიდგომა მომავალშიც გასათვალისწინებელი იქნება მათი მხრიდან, ერთიანი მიდგომისათვის.

ლანა გაჩეჩილაძემ შეახსენა საბჭოს, პროგრამის 1.3. და 1.8 სტანდარტების დარღვევაზე, რაზეც წინა საბჭოს სხდომაზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ გამოსწორებულია 1.10 და 3.4. ქვესტანდარტები და დარჩენილია 1.3 და 1.8 ქვესტანდარტების ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დაწესებულებისათვის დამატებითი, ერთთვიანი ვადის მიცემასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულებას განესაზღვრა ერთი თვის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამა „დურგალის“ ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „გრაფიკული საქმის“ /00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დარგის ექსპერტმა, თეა ბარამაშვილმა ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით:

1.10 ქვესტანდარტი: კოლეჯმა წარმოადგინა 2020 წლის 13 ნოემბრის №260 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „იბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მუხლი 19. ეთმობა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას. დოკუმენტში წარმოდგენილი არაა ინფორმაცია მსმენელთა შეფასების სისტემის თაობაზე.

2.3. ქვესტანდარტი: მე-4 სწავლის შედეგისთვის სასწავლო რესურსი საერთოდ არ არის მითითებული. მე-5, მე-6, მე-7, მე-9 და მე-10 სწავლის შედეგებისთვის მითითებულია ინგლისურენოვანი ვებგვერდი/ვიდეო, აქედან, მე-9 და მე-10 სწავლის შედეგების მისაღწევად საჭიროა დარგობრივი კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით ინგლისური ენის საკმაოდ მაღალ დონეზე ცოდნა, რაც პროგრამის დაშვების წინაპირობის მიხედვით მოთხოვნილი არ არის. **3.4 ქვესტანდარტი:** „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ არ ითვალისწინებს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

ლანა გაჩეჩილაძემ განმარტება გააკეთა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია სამი ქვესტანდარტის ხარვეზი, აქედან ორი არის ანალოგიურად, როგორც პირველ პროგრამაში, 1.10 და 3.4 - ში და აქაც გასწორებულია. ერთი იყო ამ შემთხვევაში განსხვავებული ხარვეზი, ეს არის 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა სასწავლო რესურსებს. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ 2.3 ქვესტანდარტის ხარვეზი დარჩა.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი ლიტერატურა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით. დარგის ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა დაადასტურა, რომ გაეცნო გადმოგზავნილ ლიტერატურას და შედეგების თემატიკიდან გამომდინარე, აბსოლიტურად ამომწურავია. მითითებული აქვთ სასწავლო რესურსი, ელექტრონული რესურსი და ვიდეო რგოლები, რაც აბსოლიტურად მოიცავს ყველა შედეგის თემატიკას. ამდენად 2.3 ქვესტანდარტის ხარვეზი გასწორებულია.

ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დამატებით გადმოგზავნილია, მათი რეკომენდაციების საფუძველზე, ორივე პროგრამის ფარგლებში დამატებული განამხორციელებელი პირების პირადი საქმეები, რაც საბჭოსაც მიეწოდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, გაიცა რეკომენდაცია კიდევ ერთი განამხორციელებელი პირის დამატების შესახებ. კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმა ი. ქ.-სთან, რომელსაც კვალიფიკაცია აქვს მათემატიკა-ინფორმატიკაში. ამის გარდა არ მიუღათ სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ამ ქალბატონის კვალიფიკაციას ან სამუშაო გამოცდილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქალბატონი ი. ქ. ამ კვალიფიკაციით, წლების განმავლობაში ახორციელებდა „კომპიუტერული გრაფიკის“ პროგრამას, რომელიც გულისხმობდა დაახლოებით იმგვარ სწავლის შედეგებს, რასაც ახლა „გრაფიკული საქმის“ პროგრამა. ქალბატონი არის მათი კოლეჯის მასწავლებელი წლების განმავლობაში და ამის დამადასტურებელი ცნობა შეუძლიათ წარმოადგინონ.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ გამოგზავნილია მხოლოდ ხელშეკრულება და დიპლომი. ვინაიდან პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, რეკომენდაცია იყო განამხორციელებლის დამატების თაობაზე, სასურველია, ეს მდგრადობა გამყარდეს შესაბამისი მტკიცებულებით.

ექსპერტმა დაასახელა გაცემული რეკომენდაციები:

1.6 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, დაიხვეწოს სწავლის შედეგები ტექნიკურად. გამსხვილდეს სწავლის შედეგები, ასევე, შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ნაწილი გადავიდეს სწავლის შედეგიდან თემატიკაში.

1.10 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯი „იბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და გათვალისწინებული იქნეს პროფესიული

მომზადების/გადამზადების პროგრამების სპეციფიკა. ასევე, აღნიშნული წესის მუხლი 19-ში გათვალისწინებული იქნეს მსმენელთა შეფასების სისტემა.

2.1. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯმა პროგრამის განხორციელებაში ჩართოს განმახორციელებელი დამატებითი პირი.

2.3. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია მე-4 სწავლის შედეგისთვის შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება.

სასწავლო ლიტერატურა ყველა შედეგისთვის მიეთითოს ქართულენოვანი ან დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინგლისური ენის B2 დონის შესამოწმებელი ტესტი.

2.4. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, შესრულდეს №1012 მიწერილობით გათვალისწინებული ღონისძიებები და მოხდეს განმეორებითი შეფასება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

3.2. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის №458 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესი და პირობების“ წესის მუხლი 3-ის მე-4 პუნქტში დახურული წესით რეგისტრაცია განიმარტოს ზუსტად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

3.4. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, შემუშავდეს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების კუთხით საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსზე და წარმოადგინა ფოტო-მასალა (აუდიტორიის, B გარემოს, C გარემოს). მან აღნიშნა, რომ კოლეჯს არაჩვეულებრივი გარემო აქვს, არაჩვეულებრივი ლაბორატორია, სადაც მიიღწევა პრაქტიკულად ყველა სწავლის შედეგი. ასევე ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსი. არის ელექტრონული რესურსიც, რომელიც ჩატვირთულია B გარემოში ყველა კომპიუტერში. ბოლოს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის მხრივ არანაირი კითხვა არ აქვს, მხოლოდ იმ ერთი დამატებითი განმახორციელებლის კვალიფიკაციის რელევანტური დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი ვერ დაინახა. მნიშვნელოვანია, ჩანდეს დამადასტურებელი სამუშაო გამოცდილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ თუ დამატებით ექნება წარმოდგენის საშუალება, რაღაც ვადაში, წარმოდგენენ სამუშაოს დამადასტურებელ ცნობას ამ დამატებითი განმახორციელებლის შესახებ, რომელიც არის მათი მასწავლებელი და ასწავლიდა „კომპიუტერული გრაფიკის“ საგნობრივ პროგრამას და დღესაც მუშაობს კოლეჯში მოდულური პროგრამების „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლად, შეუძლია ეს ცნობა წარმოადგინოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს, რას ფიქრობენ ხარვეზსა და რეკომენდაციებზე.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები ამ დროისთვის აღმოფხვრილია. რაც შეეხება დამატებითი განმახორციელებელი პირს, განმარტა, რომ ეს იყო რეკომენდაცია და არა ხარვეზი. ამდენად კოლეჯს შეუძლია დამატებითი დოკუმენტაცია განმახორციელებელი პირის პირად საქმეში ჩადოს და გადამოწმდება საჭიროების შემთხვევაში ცენტრის მიერ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „გრაფიკული საქმის“ /00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „გრაფიკული საქმე“ /00930 (დანართი).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 დეკემბერი.

3. ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებისთვის - „პალიატიური და გერიატრიული პაციენტების ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტის“ /00938/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხის ძირითადი განხილვა უკვე მოხდა საბჭოს წინა სხდომაზე. თუმცა დარჩა გარკვეული დეტალები, რომლის თაობაზე მსჯელობა, დისკუსია გაგრძელდება და გადაწყვეტილებებიც შესაბამისად მიიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს სთხოვა პირველ რიგში ესაუბრა იმ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გამოგზავნა.

გიორგი ბერიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რაც მიიღო, იყო დამატებითი ლიტერატურა და პრეზენტაციები, ანუ თეორიული სასწავლო რესურსები. მან თქვა, რომ წარმოდგენილ პრეზენტაციებს შორის იყო პრეზენტაცია ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმის შესახებ. აქვე განმარტა ნაზოგასტრალურ ზონდის დანიშნულება და დაინტერესდა ასრულებს თუ არა ამ მანიპულაციას პროგრამის კურსდამთავრებული. მომვლელი ამ მანიპულაციას ჰოსპისში, ბინაზე ან ზოგადად, თუ ახორციელებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ მანიპულაციას მომვლელები არ ახორციელებენ, კონკრეტულად რატომ ასწავლის მათი პედაგოგი და რატომ აქვს მომზადებული ეს პრეზენტაცია, მათი პედაგოგი თვითონ იტყვის ამასთან დაკავშირებით, თუმცა ხაზგასმით თქვა, რომ ასეთი კომპეტენცია მათ მომვლელებს არ აქვთ.

პროგრამის განმახორციელებელმა აღნიშნა, რომ აქ საუბარია როგორ იქცევიან ეს ადამიანები, რადგან ისინი ახორციელებენ კვებას, აქ საუბარია მარკირებაზე უშუალოდ, როცა ხდება. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ როგორ იდგმება ზონდი, რა სიღრმეშია ჩასული, სად დააფიქსირონ და როგორ. ამოვარდნის დროს პრევენციული ღონისძიებები როგორ გაატარონ. აქ ლაპარაკია, რომ უბრალოდ ახორციელებენ კვებას და არ დგამენ ზონდს. უბრალოდ, იმისთვის, რომ რა უნდა გააკონტროლონ, რა უნდა იცოდნენ ამ დროს, ამაზეა მართო საუბარი, რომ თეორიულად გაიარონ. ამას ასწავლიან კვების თემისთვის შემუშავებულ პრეზენტაციაში და არა ცალკე პრეზენტაციად. თქვა, რომ ექთნებისთვის ცალკე ჰქონდათ პრეზენტაცია და ეტყობა აურიეს და შეცდომით მოხდა ექთნებისთვის განკუთვნილი პრეზენტაციის გადაგზავნა ექსპერტთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის ლიტერატურის ჩამონათვალი არ არის დამაკმაყოფილებელი რამდენიმე კომპონენტში:

პირველი, ლიტერატურა, რომელიც აქვთ გამოგზავნილი, ჩავთვალოთ, რომ ჰენდაუტები (handouts) და არ არის წიგნი. როცა წიგნი გამოიცემა, მას უკეთდება რედაქტირება და რეცენზირება, ამდენად, უფრო სამეცნიეროა და სარწმუნოა, როცა ვასწავლით წიგნიდან. ჰენდაუთი, შეიძლება დაწერო რაღაც, რომელსაც სამეცნიერო სარწმუნოება არ აქვს. ეს შეიძლება იყოს როგორც დამხმარე მასალა, თუმცა მათ შემთხვევაში ჰენდაუტები ძირითადი სასწავლო მასალაა.

მეორე მხრივ, ეს მასალა არ მოიცავს პროგრამის ყველა თემატიკას და აქვთ გაკეთებული ჩამონათვალი ლიტერატურისა, რომელიც ზოგადად არსებობს. მისთვის არ არის სარწმუნო იმის განაცხადი, რომ ამ თემაზე რაღაც არსებობს. შენიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა ონლაინ რეჟიმში, მაგრამ შეეძლოთ სურათი მაინც გადაეღოთ წიგნის სარჩევისთვის და გამოეგზავნათ.

მესამე, წარმოდგენილი ლიტერატურა არ ფარავს თემატიკას, ანუ ყველა თემას. ერთი ლიტერატურაა საინტერესო - კომუნიკაციის საფუძვლები, რომელიც არის ზოგადი კომუნიკაცია ფოკუს ჯგუფებში, კომუნიკაცია უფრო ჰუმანიტარული მიმართულების მქონე კომუნიკაციის ლიტერატურაა და მისი აზრით, შეზღუდულ საათებში ეს რომ ასწავლონ, არ იქნება ბოლომდე ეფექტური. თუმცა, მეორე თემატიკაში აქვთ პაციენტთან კომუნიკაცია და საუბარი. ანუ ესეც და ისიც, ორივე კომუნიკაცია, ფიქრობს არ არის კარგად განაწილებული. კომუნიკაცია მოიყვანა, როგორც მაგალითი საილუსტრაციოდ, რომ წარმოდგენილი ლიტერატურაც ყოველთვის არ არის ჰენდაუტები მეტწილად და მეორეს მხრივ, არ არის ზუსტად მომცველი იმ შეზღუდული საათებისა, რომელიც არის და მათ კონკრეტულად, წერტილოვნად უნდა ასწავლონ სტუდენტებს თეორიული კომპონენტი.

რაც შეეხება პრეზენტაციებს და მათ შინაარსობრივ მხარეს, მისი აზრით, გვიან წარმოდგენილ ლიტერატურას (ამასაც აქვს თავისი მნიშვნელობა) არ გაუქარწყლებია მისი მოსაზრება ხარვეზთან დაკავშირებით, სასწავლო რესურსებთან მიმართებაში. სხვა ყველაფერი რჩება იგივე.

ჰოსპისის ექიმმა და პედაგოგმა, მირანდა ლურსმანაშვილმა უპასუხა ექსპერტს, პირველ რიგში, პროგრამის ვადებთან დაკავშირებით, რომელიც ექსპერტს ეჩვენება რომ მოკლეა. მათ ამ საქმეში დიდი პრაქტიკა და გამოცდილება აქვთ და წლებია უკვე ასწავლიან და საკმაოდ ხარისხიანად. მათ ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ გერმანელ კოლეგებთან, რომლებიც ხშირად ჩამოდიან, ტრენინგებსაც ატარებენ, წლებია ურთიერთობა აქვთ და მათი პრაქტიკიდან და მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, გაუზიარეს და მათაც ურჩიეს, რომ პროგრამა არ უნდა იყოს დროში გაწელილი/ უნდა იყოს მაქსიმალურად შემჭიდროებული, კომპაქტური ვადები, იმიტომ, რომ რეალურად ეს არის მომვლელი და უფრო ღრმა ცოდნა არ მოეთხოვება. მხოლოდ

აუცილებელი თვისებების შესასწავლად და იმისთვის, რომ საქმე აკეთონ ხარისხიანად, მაქსიმალურად შეზღუდეთ დრო, არ არის საჭირო დროში გაწელვა ამ ყველაფრისო. მათი რჩევა და რეკომენდაცია გაითვალისწინეს და დაიწყეს ამ კუთხით მუშაობა. უამრავი რამ გააკეთეს ამ მხრივ, უამრავ ექიმს და კოლეგას ჰკითხეს რჩევა, გაიარეს უამრავი კონსულტაცია და შეჩერდნენ იმაზე, რომ მათ ევალუაბათ პაციენტის მოვლა, ექთნის თანაშემწეები არიან, მათ სიღრმისეულ სამედიცინო ცოდნას არავინ არ სთხოვს. ზოგადად, სამედიცინო სფეროს მუდმივად სწავლა და პრაქტიკა სჭირდება. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ კურსდამთავრებულებთან, ანუ არ ხდება ისე, რომ დაამთავრეს კურსი და მორჩა, დაემშვიდობნენ, პირიქით, სულ ცდილობენ, ვითარდებიან და შეხვედრები აქვთ, პირადად მასთანაც შეხვედრები აქვთ და უამრავ რჩევას ეკითხებიან. შენიშნა, რომ პროგრამის ვადები მათი მოგონილი არ არის, თუმცა თუ დაჟინებული მოთხოვნა იქნება, რა თქმა უნდა შეუძლიათ გაითვალისწინონ და დროში გაზარდონ, თუმცა, ოქროს შუალედია საპოვნელი, ვინაიდან ეს მათი შცვეიცარიელი და გერმანელი კოლეგების ძალიან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად აღებული ვადებია.

რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, ჰენდაუტები აქვთ, ისინი გარკვეულ ნაკრებს აკეთებენ, რათა მიაწოდონ იმდენი და იმ დოზით, რაც მსმენელებისთვის აუცილებელი და გასაგებია. შეუძლებელია ყველაფერში ჰქონდეთ ცალ-ცალკე წიგნი, მაშინ გამოდის უმაღლესის სწავლება და არა დაბალი სამედიცინო პერსონალის გამოზრდა. უცხოელი კოლეგების რჩევების გათვალისწინებით აქვთ გაკეთებული, იღებენ მასალას სხვადასხვა ლიტერატურიდან და ამუშავებენ, უხსნიან და თეორიული და პრაქტიკული სწავლების მჭიდრო კავშირი აქვთ. მათ უხდებათ ყველანაირი დიაგნოზის პაციენტთან მუშაობა. მათ ძალიან მარტივად წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ანატომიის, ფიზიოლოგიის საფუძვლებზე, რათა გააზრებულად აკეთონ ის, რასაც აკეთებენ. მათი პრიორიტეტი ესაა და ცდილობენ ყველაფერი კარგად და ხარისხიანად გააკეთონ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაც მოისმინა დაწესებულების წარმომადგენლებისგან და დარგის ექსპერტისგანაც ერთმანეთის საწინააღმდეგო პრაქტიკულად ვერ დაინახა. ბატონი გიორგი წინა საბჭოზეც ამბობდა ან დაშვების წინაპირობები უნდა იყოს სხვა ან ამას უნდა დაერქვას გადამზადება, როგორც ალბათ ამას დაწესებულებას გერმანელი კოლეგები ურჩევენ, შემცირებაც შესაძლებელია, მაგრამ ამას ექნება სხვა კრიტერიუმები, მიღების წინაპირობები და ასევე, საკმაოდ მომზადებულები უნდა იყვნენ ეს ადამიანები, იმიტომ, რომ მრავალმხრივი დაავადებების მქონე პაციენტებთან უწევთ კომუნიკაცია, მუშაობა და მათი დიაგნოზის გარჩევა უნდა შეეძლოთ ერთმანეთისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე დროში მათ უბრალოდ გაუჭირდებათ ამ ყველაფრის ათვისება. გარკვეულ კრიტერიუმებს თუ დავაწესებთ, როგორი ადამიანები უნდა მივიღოთ ამ პროგრამაზე, მაშინ შეიძლება ეს პრობლემა ძალიან მარტივად მოგვარდეს.

ექსპერტმა თქვა, რომ მას აქვს პასუხი ამ ყველაფერზე. ქალბატონმა მირანდამ სამი მთავარი გზავნილი დაასახელა: 1. ვადები. უცხოელი კოლეგები გვირჩევენ ამ ვადებსო. მისი კითხვაა, პროგრამაში რა დაშვების წინაპირობაა, ვის ამზადებენ ამ მოკლე ვადებში. 2. გამოცდილება, რაც მისაღებია და კარგია, რომ გამოცდილება აქვთ და 3. კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაგრძელება შემდგომი განათლების თუ განვითარების თვალსაზრისით. სამი ძირითადი გზავნილი იყო ვადებთან დაკავშირებით. ექსპერტმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, 1. პრაქტიკა, არ არის გაწერილი და არ ხდება იმის იდენტიფიცირება რა ისწავლება პრაქტიკის დროს. 2. კურსდამთავრებულები ფაქტობრივად ექთნის დამხმარეები არიან. ექთნის დამხმარეს, როგორც წინა შეხვედრაზე თქვა, 18 წლის ახალგაზრდას იღებენ. შენიშნა, რომ თვითმიზანი მისთვის არ არის ვადა, შინაარსობრივ კომპონენტზე საუბრობს, მოცულობა, საათები, თემატიკა, თეორია, პრაქტიკა და ერთმანეთთან ბმაშია და გარდა ამისა საყურადღებოა რამდენად შეძლებს პირი დამოუკიდებლად მუშაობას და რთულ

კონტიგენტთან მუშაობას. რამდენად ეფექტური იქნება ეს კურსი, რომ შედეგზე გავიდეო. კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია აქვთ, დახმარების მიზნით, მაგრამ ხაშურიდან ან ბათუმიდან ჩამოსულთან შეიძლება ამის საშუალება არ ჰქონდეთ. უცხოელი კოლეგები, ალბათ ამ კონკრეტულ ვადებში სხვა დაშვების წინაპირობის შემთხვევაში საუბრობენ. ლიტერატურასთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ ჰენდაუთები არ არის პრობლემა. პრობლემა არის ის, რომ რეფერირება სჭირდება, რომ ნებისმიერ ადამიანს დაანახოთ, რომ ის რაც წერია, არის სარწმუნოდან აღებული. შეიძლება ერთმა წიგნმა მოიცვას თემატიკის 60%. არსებობს მოვლის სტანდარტები და არსებობს პაციენტის მოვლის სახელმძღვანელოები. არ უგულისხმია რომ ყველა საკითხზე ითხოვს ცალკე წიგნს. სარწმუნოებაზე იყო ერთიმხრივ საუბარი და მეორე, მოცულობით კომპონენტზე საუბრობს, და ეს თემატიკები თუა მოცული.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს 2.3 ქვესტანდარტზე დაფიქსირებულ ხარვეზს მიიჩნევდა თუ არა გამოსწორებულად. ექსპერტმა უპასუხა, რომ არ მიიჩნევს ხარვეზს გამოსწორებულად.

გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ მეორე საბჭოს სხდომაა იხილავენ ამ საკითხს და არის მრავალი პრობლემა და ბოლომდე ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას, მას აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო არგუმენტები ყველა საკითხთან მიმართებით, რაზეც ისაუბრა.

შუქია ჭინჭარაულმა ითხოვა სიტყვა სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ დღეს საქართველოში ძირეულ მოვლასთან დაკავშირებით, არანაირი ლიტერატურა არ არსებობს. რაც შეეხება მასალის წიგნად ჩამოყალიბებას, ამას დიდი თანხა სჭირდება, რაც მათ ორგანიზაციას არ გააჩნია. მრავალი წლის განმავლობაში მათი სასწავლო კურსები ყოველთვის უფასო იყო იმ კატეგორიისთვის, ვისაც არ შეეძლო სწავლის ფული გადაეხადა. ჰენდაუთების წიგნად ქცევა, რა თქმა უნდა არის ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი მიზანი, თუმცა ის, რომ მეცნიერულად დასაბუთებული, რეცენზირებული და ა.შ. ფორმით იყოს, მათ ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა, სხვადასხვა ლიტერატურიდან ნათარგმნი თავები ძირეული მოვლის თემატიკას, რაც აქვთ ჩაშლილი პროგრამაში, ფიქრობს ნამდვილად ფარავს იმ დოზით, რა დოზითაც მსმენელს სჭირდება.

მირანდა ლურსმანაშვილმა მსმენელთა ასაკის შესახებ თქვა, რომ მათ ნამდვილად ჰყოლიათ ამ ასაკის მომვლელები. მართლა ისეთი სამუშაო გარემოა, რომ შინაგანად უნდა იყოს მზად, სხვა შემართების უნდა იყოს და სხვა სულიერი სამყარო უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამდენ მძიმე პაციენტს გულით მოუაროს და გაუკეთოს ყველაფერი, რაც ევალება. საქმის მექანიკური შესრულება არ არის მთავარი, ცოტა გააზრებულად და ყველაზე მთავარი, სიტბო და სიყვარულია ყველაზე კარგი წამალი. ამ ადამიანებს ეს ყველაფერი აქვთ. მსმენელთა მიღებისას გასაუბრებები აქვთ და რამე განსაკუთრებული კრიტერიუმი არ აქვთ. მათ შეჰყავთ მსმენელები ავადმყოფებთან, რაღაც გამოსაცდელი ვადით, ნახონ, გაეცნონ რა მუშაობა აქვთ და შემდეგ გადაწყვიტონ სურთ თუ არა ეს პროფესია. შეიძლება გაუჭირდეს 40 წლის ადამიანს და გაუადვილდეს 18 წლისას, ან პირიქით, იმაზეა საუბარი, რომ ადამიანის შინაგან ბუნებაზეა დამოკიდებული და არ აქვს ასაკს მნიშვნელობა. საკმაოდ ასაკიანი ქალბატონი ჰყოლიათ, რომელმაც მოვლა ვერ შეძლო და წასულა. გამომდინარე იქედან, რომ მოთხოვნა არის უზარმაზარი, უამრავ ადამიანს სჭირდება მათი დახმარება, ისინი ფიზიკურად ვერ აუდიან ამ ყველაფერს, რადგან ფიზიკურად არ არის იმდენი კადრი, რომელსაც ბინაზე პაციენტის მოსაველეად მშვიდად გაუშვებს, რომ მას იქ არაფერი შეეშლება. ისინი ცდილობენ ასწავლონ მსმენელებს, რომ მათ სწორად იმუშაონ, თვლის, რომ ისინი ზედმეტ ინფორმაციას არ აწვდიან.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯერა, სამ ხარვეზზეა საუბარი. 1.4. დაშვების წინაპირობები; 1.6. შედეგები, თეორიული და პრაქტიკული და 2.3. სასწავლო რესურსი. ექსპერტი ამბობს, რომ ორი

სტანდარტი დარღვეულია და დაწესებულებას სთხოვა მოკლედ დასაბუთება, გააბათილოს ექსპერტის აზრი და შეძლოს საბჭოს წევრების მოსაზრების შეცვლა, რომ არ არის დარღვევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, იმედი ჰქონდათ, რომ გამოსწორებულად ჩაეთვლებოდათ. მათ დიდი ძალა და ენერჯია ჩადეს ამ მასალების მოძიება/შემუშავებაში. დაინტერესდა კიდევ რა ლიტერატურა უნდა დაემატოს ჩამონათვალს, თუ არ იფარება სწავლის შედეგების ყველა თემატიკა.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით ამ სტანდარტის დარღვევა პირდაპირ უკავშირდება პროგრამის დაშვების წინაპირობებს.

ექსპერტი მას დაეთანხმა და დამატებით თქვა, რომ დროშია შეზღუდული ეს პროგრამა, ასევე კონკრეტიკაა საჭირო და თან თემატიკა არ იფარება. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი არ ფარავს ყველა წარმოდგენილ თემატიკას განაცხადში. ექსპერტმა რჩევის სახით უთხრა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ აქვთ ერთი კარგი ლიტერატურა, ეს არის თარგმანი გერმანული ლიტერატურიდან, ქალბატონი შუქია ჭინჭარაულის გამოცემით. ლიტერატურა მოიცავს და აღწერს იმ კონკრეტულ თემატიკებს, რომლებიც პირველ ორ სასწავლო კვირაში არის წარმოდგენილი. არსებობს ბაზარზე სხვადასხვა თარგმანები, მათ შორის კარიტასს აქვს ნათარგმნი და საჯაროდ გამოცემული, შეიძლება გამოიყენონ. ასევე შეიძლება დაწესებულებას აქვს, მაგრამ ექსპერტებამდე არ მისულა ლიტერატურა პირველადი გადაუდებელ სამედიცინო დახმარების შესახებ. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო ლიტერატურა ქართულ ენაზე ბევრია, საექთნო ლიტერატურა ელექტრონული და შეუძლია მისცეს მათ საჩუქრად თუ არ აქვთ. იქ არის მოვლის ძალიან ბევრი კომპონენტები. კომუნიკაციის კომპონენტში მეტ-ნაკლებად დაფარულია თემატიკა, მაგრამ გადატვირთვაა და ურჩია იყოს პირდაპირ ფოკუსირებული ლიტერატურა შერჩეული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა, რაც ისწავლება ყველა გადმოგზავნილია.

მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ ყველა ელექტრონული ფოსტა, რაც გამოაგზავნა დაწესებულებამ გადაგზავნილია ექსპერტთან. აქვე შენიშნა, რომაქცენტი აღებულია სასწავლო ლიტერატურის ხარვეზზე თუმცა, წინა სხდომაზე საკითხის განხილვისას დეტალურად ისაუბრეს პროგრამის ხარვეზებზე.

ლანა გაჩეჩილაძემ დაადასტურა ორი სტანდარტის დარღვევაა სახეზე, შენიშნა, რომ ორივე სტანდარტი ეხება დარგობრივ კუთხეს, და დარგის ექსპერტის მოსაზრებას ეყრდნობიან.

დარგის ექსპერტმა გააზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი, სასულიერო პირების, წმინდა მამების მოსაზრებები ტკივილზე, ტანჯვაზე, სიკვდილზე, დაშორებაზე და ა.შ. ეს ლიტერატურა დაახლოებით 15 გვერდია და ეხება სხვადასხვა, მათ შორის ქართველი სასულიერო პირების მოსაზრებებს. მან ჰკითხა დაწესებულებას, რა მიმართულებით გაქვთ ეს ლიტერატურა, რაში გეხმარებათ ამ სახის ლიტერატურის მიწოდება, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი ჰოსპისი არის მონასტერთან არსებული და მსმენელებს, რომლებიც მათთან მოდიან, აუცილებელი მოთხოვნაა მოძღვრის რეკომენდაცია ჰქონდეთ. თუ ეს ადამიანი სულიერად არ არის მზად ამ ყველაფრისთვის, თუ მათ სხვა კუთხით არ აქვს ეს ყველაფერი გააზრებული, ძალიან გაუჭირდება მათ სისტემაში და მათ პრობლემებთან შეჭიდება და მუშაობა. მსმენელებსაც, ასევე პაციენტებსაც სჭირდებათ, ისინი ხშირად ეზიარებიან და ამისთვის ამზადებენ მომვლელებსაც, მათ უნდა იცოდნენ, რომ შეხება ექნებათ სასულიერო პირებთან და მართლა მათი დახმარებით უიოლდებათ პაციენტებს ტკივილების ატანა, პაციენტებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად, სულიერება არის

ძალიან მნიშვნელოვანი მათთან და ეს სჭირდება მომვლელსაც, ყველა ადამიანს, მათ შორის ექიმსაც. ეს არის უზარმაზარი წნეხი, რომლის გაძლებაც ყველას არ შეუძლია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დისკუსია ძალიან გაგრძელდა და საჭიროა წავიდნენ დასასრულისკენ.

ნათია კვიციანიმა თქვა, რომ წინა სხდომაზე არ ყოფილა და ახლა რაც მოისმინა, ექნება შთაბეჭდილება, რომ ორ მხარეს შორის გაუგებრობაა. დაინტერესდა ხომ არ შეიძლება შეხვედროდა ეს ორი მხარე ერთმანეთს, ჩამოეყალიბებინათ და შეეჯერებინათ თავიანთი მოსაზრებები. მარიამ ქუჩულორიამ უპასუხა, რომ არ აქვს არანაირი პრობლემა საკითხის გადადებისთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის არის კოვიდ ზონაში და ხვალ რა იქნება არ იცის. პირველი, მას არ აქვს კომუნიკაციის პრობლემა, პირიქით. მეორე, მართალია და ქალბატონ მაყვალას ეთანხმება, რომ ამ სხდომაზე მხოლოდ ლიტერატურაზე გაკეთდა სწორი ფოკუსირება, თუმცა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თემაზეც იყო საუბარი წინა სხდომაზე.

მარიკა ზაქარეიშვილმა თქვა, რომ ესმის ყველას ემოციები და ძალიან პროფესიული ადამიანები არიან წარმოდგენილები, ორივე მხარე. უბრალოდ, უკვე იმდენი იმსჯელეს, რომ პირადად მისთვის აზრი არ აქვს საკითხის გადადებას. მან სთხოვა დარგის ექსპერტს დააფიქსიროს პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით და საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას. ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა: **პირველი**, მსმენელის დაშვების წინაპირობა ასაკი 18 წელი . ასაკი კი არ არის თვითმიზანი. სკოლის მერხიდან, გამოცდილების გარეშე მყოფი ახალგაზრდისათვის, დაშვების ამ წინაპირობით და შეთავაზებული ამ მოკლე კურსით, ძალიან ძნელი იქნება ამ ურთულეს კონტიგენტთან. ან უნდა გაიზარდოს პრაქტიკის მოცულობა და სხვა შინაარსით მივდივართ ან დაშვების წინაპირობა უნდა იყოს სხვა, რომ მივიღოთ ხარისხიანი კადრი. **მეორე** თემა და პრობლემა ეხებოდა სწავლის შედეგებს. წარდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები ერთმანეთის თანმიმდევრული არ არის და არ არის კარგად სტრუქტურირებული და ასახული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტი, ბოლო კომპონენტში პრაქტიკა საერთოდ არ არის გაწერილი. მსმენთათვის კი რაღაც მომენტში პრაქტიკა უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე თეორიული ცოდნა. მიუხედავდ იმისა, რომ ამ დაწესებულების ძლიერ მხარეს პრაქტიკა წარმოადგენს, რადგან თვითონ არიან ამ სერვისის მიმწოდებლები, პრაქტიკაში წერია მხოლოდ მოსალოდნელი შედეგები და საერთოდ არ წერია რაზე იქნება პრაქტიკა. ასევე, სწავლის შედეგი და თემატიკა არ ემთხვევა ერთმანეთს. **მესამე**, არის ლიტერატურა, სასწავლო რესურსი, რაზედაც უკვე ბევრი ითქვა. ამას გარდა, იყო ასევე სხვა რეკომენდაციები, რომლებიც იყო ძალიან საყურადღებო.

ლანა გაჩეჩილაძემ შენიშნა, აქ გაჟღერდა, რომ კურსდამთავრებულთან დაწესებულებას აქვს ისეთი პრაქტიკა, რომ მუდმივად მათ განვითარებაში ერთვებიან და ეხმარებიან. ეს პრაქტიკა გამართლებული და ხელშეწყობილი ვერ იქნება, ვინაიდან კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დაწესებულებამ უნდა გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რაც ადასტურებს, რომ პირი არის სრულყოფილად მზად, რომ უკვე დასაქმდეს. სერტიფიკატის გაცემით უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებული იქნება შრომის ბაზრისთვის მაქსიმალურად მისაღები.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და პრაქტიკის კომპონენტის არასათანადოდ გაშლასთან დაკავშირებით, მარიკა ზაქარეიშვილმა სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

წარმომადგენლებმა ისაუბრეს, რომ ისინი ამზადებენ მომვლელებს, რომლებიც იმუშავენ ბინაზე, ჰოსპისში, ოღონდ დამხმარედ და არავითარ შემთხვევაში, ექთნად. სწავლის

დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ უკვე იწყება პრაქტიკა, 16 საათიანი მორიგეობები არის ყოველდღე გაწერილი, მთელი 6 კვირის განმავლობაში. ეს მოიცავს ჯამში 672 საათს. რეალურად მსმენელები არიან დამხმარებად, მეთვალყურედ. პროფესიონალი ექთნები მესმენელებს მუდმივად ასწავლიან. ყოველთვის ხდება თეორიული მასალის, პრაქტიკაში ასახვა მორიგეობის დროს. თუ რაიმე პრობლემაა, ამ შემთხვევაში, ყურადღების გამახვილება მიმდინარეობს. ამ 672 საათის შემდეგ, სრულდება 8 კვირა, თეორიული ნაწილი და იწყება საწარმოო პრაქტიკა. საწარმოო პრაქტიკაზე აქვთ გაწერილი სწორედაც 24 საათიანი მორიგეობები ყოველდღიურად ჰოსპისში, რომელიც მოიცავს ასევე 672 საათს და ასევე საწარმოო პრაქტიკა შინ მოვლაზე, ბინაზე, რომელიც მოიცავს 96 საათს მთლიანობაში. 80 საათი აქედან უკავია პრაქტიკულ ლექციებს, რომელიც მიმდინარეობს ან მულაჟზე, დაბანის ღონისძიებები და ა.შ. და თუკი მოძრაობას ეხება საქმე, ერთმანეთზე ახორციელებენ მსმენელები. მთლიანობაში, პრაქტიკა გამოდის 1520 საათი, რომელიც სამწუხაროდ, მათ არ ჰქონდათ პროგრამაში გაწერილი, მხოლოდ თეორიულ ნაწილზე ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული.

მარკა ზაქარეიშვილმა კითხვა დასვა, თუ არიან დარწმუნებული დაწესებულების წარმომადგენლები, რომ მსმენელი ამ კურსის გავლით დამოუკიდებლად შეძლებს კარგი ექთნის დამხმარე გახდეს.

აქამდე რაც უკეთებიათ, ეს პროგრამა ამ შედეგზე გადის, უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელმა ანა ბეროშვილმა, დამოუკიდებლად მუშაობენ მათი მოძველები, ეს ყველაფერი პრაქტიკაში გაუკეთებიათ. შეუძლიათ გადასცენ იმ პაციენტების ტელეფონის ნომრები, ვისთანაც მუშაობენ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ძალიან დიდხანს იმსჯელა საბჭომ. აღნიშნა, რომ №131 დადგენილებით არაა დასაშვები და საბჭო არაა უფლებამოსილი ორი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულებას განუსაზღვროს ხარვეზის გამოსწორების ვადა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 2 (ნათია კვიციანი, თორნიკე ჯობავა)

წინააღმდეგი: 6

(qms - ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურად შეცდომით დაფიქსირდა 3 მომხრე, მარკა ზაქარეიშვილმა ითხოვა ოქმში დაფიქსირებულიყო მისი გადაწყვეტილება -წინააღმდეგი)

გადაწყვეტილება:

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჰოსპის ფერისცვალებას (ს/კ: 204556284) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პალიატიური და გერიატრიული პაციენტების ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტი / 00938.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, საბჭო ელოდება, რომ განმეორებით შემოიტანენ განაცხადს. ძალიან კარგად ესმით ბაზრის მოთხოვნები და უნდათ გვერდში დაუდგნენ დაწესებულებას, მათ განმეორებით შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ფალავანდიშვილმა თქვა, რომ თუ საბჭო თვლის, რომ საჭირო და მნიშვნელოვანი პროგრამაა, ისინი პროგრამას დახვეწავენ, გაივლიან რეკომენდაციებს და ისევ შემოიტანენ განაცხადს.

საბჭოს სხდომა 19:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

